არჩილ თალაკვაძე პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი კობახიძეს შეცვლის

მარი კოძოევი

„რუსი დეპუტატების ადგილი საქართველოს პარლამენტში არ არის! ეს კონფერენცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და დუმის წევრებმა პარლამენტი და საქართველო უნდა დატოვონ“, – ერთ-ერთი პირველმა გამოხატა თავისი პოზიცია სოციალურ ქსელში რუსეთის დუმის დეპუტატის სერგეი გავრილოვის გამო საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ.

21 ივნისს, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭომ განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნავდნენ, რომ „საქართველოს პარლამენტში გამართული საპარლამენტთაშორისო მართლმადიდებლური ასამბლეის დროს განვითარებულმა მოვლენებმა მძიმე სურათი შექმნა და საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია, რომლის სოლიდარულიც იყო ჩვენი პოლიტიკური გუნდი და მისცა შესაბამისი, მკაცრი შეფასებები.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ამკვიდრებს საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს და ეს არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი ქმედებებით.

ამ მაღალი სტანდარტის ანგარიშვალდებულების კიდევ ერთი გამოხატულებაა დღეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ.“

ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე არჩილ თალაკვაძე დასახელდა, ხოლო საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი შესაძლოა გია ვოლსკი გახდეს, რომელიც ამჟამად პარლამენტში ვიცე-სპიკერის პოსტზეა.

იმავე დღეს „ქართულ ოცნებაში“ განმარტეს, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და უმრავლესობა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე მხარს არჩილ თალაკვაძეს დაუჭერს.

რეგლამენტის შესაბამისად, არჩილ თალაკვაძეს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ნდობა დეპუტატებმა უნდა გამოუცხადონ, მას ამ თანამდებობის დაკავებ-ისთვის 76 დეპუტატის მხარდაჭერა დასჭირდება.

რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პარლამენტი 14 დღის ვადაში, დადგენილი წესით ირჩევს ახალ პარლამენტის თავმჯდომარეს. მანამდე კი უფლებამოსილებას პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი შეასრულებს.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 25 (10318) 24 ივნისი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

ზურაბ ნასარაია იაპონიის საელჩოს წარმომადგენლებს შეხვდა

19 ივნისს, იაპონიის საელჩოს წარმომადგენლები **ნორიკო ჰაშიმიკო** და **თეონა მაჭარაშვილი,** გურიის მხარის რწმუნებულს **ზურაბ ნასარაიას** შეხვდნენ.

საელჩოს წარმომადგენლებმა, იაპონიის მთავრობის საგრანტო კონკურსის სპეციფიკაზე ისაუბრეს და შეხვედრის მონაწილეებს, ის ძირითადი მიმართულებები გააცნეს, რის დაფინანსების შესაძლებლობასაც იაპონიის საელჩო განიხილავს. ასევე, იმსჯელეს ინფრასტრუქტურის კუთხით განხორციელებელ პროექტებზე.

შეხვედრის დასასრულს გამოითქვა მზადყოფნა მომავალში საქმიანი თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, რეგიონში შემავალი სამივე მუნიციპალიტეტის მერი და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები.

რა ხდება სეს-ის გურიის სამმართველოში და რატომ დატოვა თანამდებობა ნინი შეწირულმა?

გასულ კვირაში, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თანამდებობა დატოვა საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის სამმართველოს უფროსმა ნინი შეწირულმა. იგი იმავდროულად ფაროსანასთან ბრძოლის აჭარა-გურიის შტაბის მონიტორინგის სამსახურს უძღვებოდა და წარმატებულ ხელძღვანელად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შეწირული სამსახურიდან წასვლის შესახებ მედიასთან კომენტარს არ აკეთებს, რედაქციის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მის მიერ თანამდებობის დატოვება ფაროსანასთან ბრძოლის აჭარა-გურიის შტაბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტს უკავშირდება.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურიშვილი** 17-18 ივნისს 2-ჯერ ჩამოვიდა ოზურგეთში, შეხვდა სეს-ის გურიის სამმართველოს თანამშრომლებს, წარუდგინა სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **შალვა პეტრიაშვილი** და ორჯერ გადაუხადა მადლობა სამსახურის ყოფილ უფროსს ნინი შეწირულს, 18 ივნისს კი –სამმართველოში შემოწმებაზე სურსათის ეროვნული სააგენტოს აუდიტის დეპარტამენტი შევიდა. აუდიტის სამსახურის უფროსი **დავით ბეჟაშვილი** დახურულ კარს მიღმა სეს-ის გურიის სამმართველოს თანამშრომლებს შეხვდა.

როგორც გვითხრეს, შეხვედრის მიზანი თანამშრომელთა გაფრთხილება იყო.

–თუკი რაიმეს ვიტყვით სამსახურში მიმდინარე პროცესებზე, სამსახურიდან დაგვითხოვენ. რაც ხდება აქ, იმედია ჩვენი მინისტრი ლევან დავითაშვილი გაიგებს. გვაპატიეთ, მეტს ვერაფერს გეტყვით. ჩვენს უკან ოჯახები დგას –გვითხრა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

თუ რა არ უნდა თქვან თანამშრომლებმა, ის, რომ ფაროსანასთან ბრძოლის აჭარა-გურიის შტაბში წელს საჭიროზე მეტი ტექნიკა მუშაობდა და შესაბამისად წამლის ხარჯიც მეტი იყო, თუ გურიის რეგიონში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვირუსული დაავადება –ნოდულარული დერმატიტის ეპიდემიის შესახებ –ამაზე სანდო წყაროს ვესაუბრეთ.

–საქონლის დაავადებაა შემოსული, სააგენტომ სათანადო თადარიგი ვერ დაიჭირა, ეპიდემიაზე ნოდუკარულის ვაქცინის საჭირო მარაგი არ აქვთ და ნოდულარული დერმატიტი რეგიონს მოედო, აღრიცხულია დაავადებული 130 პირუტყვი.

მომართვიანობის დაგვიანების გამო 20 გარდაიცვალა. დაავადება სწრაფად ვრცელდება. მეცოდებიან მათი მეპატრონეები –გვითხრა ერთ-ერთმა სპეციალისტმა.

სეს-ის გურიაა სამმართველოს უფროსი **შალვა პეტრიაშვილი** მედიასთან ურთიერთობას აპრობირებული მეთოდით – პრესსამსახურის საშუალებით აპირებს.

– უფროს ინსპექტორად ვმუშაობდი სეს-ის თბილისის სამმართველოში. – გვითხრა მან.

პეტრიაშვილისაგან განსხვავებით მედიის რამდენიმე კითხვას უპასუხა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა, ფაროსანასთან ბრძოლის აჭარა-გურიის შტაბის უფროსმა **გოჩა ჯობავამ.**

– ამჟამად თერმული ნისლით წერტილოვანი დამუშავება მიმდინარეობს. მონიტორინგის ჯგუფი არჩევს თერმული ნისლით დასამუშავებლად პრიორიტეტულ სოფლებს, სადაც ამის საჭიროებაა. ყოველი დღის ბოლოს მონიტორინგის ჯგუფი არჩევს კრიტიკულ სოფლებს. ამჟამად 15-მდე თერმული შესხურების ავტომობილი და 13-მდე ტრაქტორი კი ცივ შესხურებაზე მუშაობს.

– ბატონო გოჩა, როგორც ჩანს, ამჟამად არ იყო ამადენი ტექნიკის საჭიროება და თქვენი სპეცტექნიკის ნაწილი კახეთის რეგიონში გაიგზავნა კალიების გასანადგურებლად.

–კი, 4 ერთეული ტექნიკა

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

საredaქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სახალხო დამცველი მიმდინარე მოვლენებზე განცხადებას ავრცელებს

საქართველოს სახალხო დამცველი რუსთაველის გამზირზე 2019 წლის 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება. როგორ ომბუდსმენის განცხადებაშია აღნიშნული, ძალის გამოყენებამდე ადგილზე არ მომხდარა აქციის მონაწილეების მკაფიო და გასაგები ფორმით გაფრთხილება სპეციალური საშუალებების მოსალოდნელი გამოყენების თაობაზე. ამასთან, ომბუდსმენის ცნობით, მედიით გავრცელებული ინციდენტის ამსახველი არაერთი კადრი მიუთითებს სამართალდამცავთა მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებაზე.

„საქართველოს სახალხო დამცველი და მისი წარმომადგენლები პირველივე წუთებიდან აქტიურად აკვირდებიან ქვეყანაში რუსი დეპუტატების ჩამოსვლისა და რუსეთის ოკუპაციის გასაპროტესტებლად გამართულ აქციასთან დაკავშირებულ მოვლენებს. აქციის დაწყებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, მანიფესტანტებმა პარლამენტის შენობაში შესვლა სცადეს, რასაც ადგილზე მობილიზებულ სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებთან მწვავე დაპირისპირება მოყვა. სახალხო დამცველმა მოუწოდა ხელისუფლებას, ძალადობის ესკალაციის თავიდან არიდების მიზნით, გადაედგა დროული პოლიტიკური ნაბიჯები. ასევე, მოუწოდა აქციის მონაწილეებს, შეეწყვიტათ ძალადობრივი ქმედებები, ხოლო პოლიციას, არ გამოეყენებინა არაპროპორციული ძალა.

საბოლოოდ, ხელისუფლებამ საპროტესტო აქცია ძალის გამოყენებით დაშალა, რის შედეგადაც ორასზე მეტი ადამიანი დაშავდა. სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, მათ შორის, ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და წყლის ჭავლი გამოიყენეს. 20 ივნისის აქციის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსახილველ შემთხვევაში ძალის გამოყენებამდე ადგილზე არ მომხდარა აქციის მონაწილეების მკაფიო და გასაგები ფორმით გაფრთხილება სპეციალური საშუალებების მოსალოდნელი გამოყენების თაობაზე. აქციის მონაწილეებისთვის პოლიციას არც გონივრული დრო მიუცია. ამასთან, მედიით გავრცელებული არაერთი ინციდენტის ამსახველი კადრი (მაგ., რეზინის ტყვიების დამიზნებით სროლა თავის არეში მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ) მიუთითებს სამართალდამცავთა მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებაზე. ძალის გადამეტების სავარაუდო შემთხვევები იკვეთება, აგრეთვე, დაკავებულებისგან მიღებული განმარტებებითა და საჯაროდ გავრცელებული ვიდეო მასალით. ყოველივე აღნიშნული საჭიროებს საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან დროულ და ეფექტიან გამოძიებას“, - აღნიშნულია სახალხო დამცველის განცხადებაში.

ომბუდსმენის განცხადების თანახმად, ცალკე შეფასების საგანია მიმდინარე მოვლენების გაშუქების მიზნით ადგილზე მყოფი ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის, დაკავებისა და დაშავების ფაქტები.

„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ინფორმაციის თანახმად, პოლიციის მიერ საპროტესტო აქციის ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ტყვიებით შეწყვეტის შედეგად დაშავდა მედიის 33 წარმომადგენელი. რამდენიმე მათგანის განცხადებით, პოლიცია მათ რეზინის ტყვიებს დამიზნებით ესროდა მას შემდეგაც კი, როცა ისინი სამართალდამცავებს ეუბნებოდნენ, რომ მედიის წარმომადგენლები იყვნენ. ამ დროისთვის სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონიტორინგი განახორციელეს პოლიციის სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში. დადგინდა 121 დაკავებული პირის ადგილსამყოფელი. მოინახულეს 63 დაკავებული მოქალაქე. სახალხო დამცველის წარმომადგენლები მივიდნენ თბილისის 6 საავადმყოფოში; შეხვდნენ და ესაუბრნენ ექიმებს, კლინიკის ადმინისტრაციასა და აქციის დაშლისას დაშავებულ მოქალაქეებს. სახალხო დამცველის აპარატმა დაადგინა, რომ კლინიკებში სულ რეგისტრირებული იყო აქციისას დაშავებული 217 პაციენტი. აქედან 80 დაშავებული პოლიციელი იყო. სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტისას კლინიკებში რჩებოდა 54 დაშავებული პირი (მათ შორის, 8 პოლიციელი). ვიზიტისას მიღებული ინფორმაციით, ძირითადი დაზიანებები მიყენებულია თავის და ზედა კიდურების არეში, მათ შორის გაბნეული ჭრილობები. რამდენიმე მათგანი რჩებოდა რეანიმაციულ განყოფილებაში, მძიმე მდგომარეობაში. ამასთან, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მიყენებული დაზიანებები არ იყო თანხვედრაში რეზინის ტყვიებით მიყენებულ ტიპიურ დაზიანებებთან და საჭიროებს შემდგომ შეფასებას“, - ნათქვამია განცხადებაში.

მათივე ინფორმაციით, სახალხო დამცველის წარმომადგენლები დილიდან იმყოფებიან თბილისის საქალაქო სასამართლოში.

„21 ივნისის 15:00 საათის მონაცემებით, სასამართლოში რეგისტრირებული იყო 310 პირი. უმრავლესობასთან მოხერხდა გასაუბრება და ასევე დავესწარით მათ სასამართლო პროცესებს. სამწუხაროდ, საქმეთა განხილვა მიმდინარეობს დაჩქარებულად და დაკავებულებს არ ეძლევათ სამართლიანი სასამართლოს უფლებით და ისეთი მნიშვნელოვანი პროცედურული გარანტიებით სარგებლობა როგორიცაა, მტკიცებულებების წარდგენა, ეფექტური დაცვის უფლება, საქმის გონივრულ ვადებში განხილვა. სხდომების მიმდინარეობისას არის სმენადობის (უმეტეს შემთხვევაში გათიშულია დინამიკები) სერიოზული პრობლემა, რითიც ირღვევა სხდომების საჯაროობის პრინციპი“, - აღნიშნულია განცხადებაში.

სახალხო დამცველი მიმართავს საქართველოს გენერალურ პროკურატურას დაიწყოს და ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება არაპროპორციული ძალის გამოყენების, ასევე, დაკავებულების მიმართ ძალადობის სავარაუდო ფაქტებზე, დაიწყოს და აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებებისა და მათ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტების გარშემო.

ამასთან, ომბუდსმენი მიმართავს საქართველოს მთავრობას აქციაზე დაზარალებულ პირთა მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯები, ანაზღაურდეს სრულად. მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს აქციაზე დაკავებულ პირთა მიმართ სამართალწარმოება წარიმართოს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების სრულად შესაბამისად. სახალხო დამცველი აგრძელებს როგორც სამართალდამცავთა მხრიდან აქციის შეწყვეტისას ზემოხსენებული პრინციპების სავარაუდო დარღვევისა და ძალის გადამეტების შემთხვევების, ისე ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ფაქტების დეტალურ შესწავლას.

„ღია მმართველობა პარტნიორობისათვის" ფარგლებში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულოსთან ერთად „ღია მმართველობა პარტნიორობისათვის" ფარგლებში, მუშაობს მუნიციპალური სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის გაზომვის სისტემის დანერგვაზე.

ოზურგეთის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება აქტიურად ჩაერთო აღნიშნულ პროგრამაში და დღეს მისი ორგანიზებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან უკვე მეორე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნინო მამუკელაშვილმა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის „პროგრესის სახლის“ წარმომადგენელმა ლევან მჟავანაძემ მოსწავლეებთან ისაუბრეს „ღია მმართველობა პარტნიორობისათვის“ (**OGP**)-ის პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე.

ამჟერად ახალგაზრდები ერთვებიან მუნიციპალურ სერვისებზე კვალიფიციურ დაკვირვების პროცესში და იწყებენ მოსახლეობის გამოკითხვას. 10 დღის განმავლობაში ისინი ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, ასევე სოფელ ქვემო და ზემო ნატანებში მცხოვრებლებთან აწარმოებენ სპეციალურ გამოკითხვას. აღნიშნული პროცესი გამოავლენს თუ რა მდგომარეობაა მუნიციპალური სერვისების მიწოდების თვალსაზრისით, გამოიკვეთება პრიორიტეტები, სხვადასხვა პრობლემის მოგვარების გზები.

საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“ მადლობას უხდის

საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ ბენეფიციარები საზოგადოებიდან ყურადღების ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივით. მაგრამ შეიძლება იმ ადამიანების გამორჩევა, რომლებიც განსაკუთრებულად ცდილობენ ჩვენს გახარებას.

სწორედ ასეთები არიან ოზურგეთის კულტურისა და სარეკრაციო დაწესებულებების ცენტრის ხელმძღვანელი თამარ ნადირიძე, მასობრივ ღონისძიებათა ორგანიზატორი მაია თანდილაშვილი და ცენტრის სხვა თანამშრომლები. მათ ყველა ჩვენგანის დაბადების დღე ახსოვთ. მოდიან, გვილოცავენ, ექსპრონტად კონცერტებსაც გვიწყობენ. მადლობა ამ დღესასწაულის თითოეულ მონაწილეს.

რამდენიმე დღის წინ მეც მომილოცეს დაბადების დღე. კულტურის სამსახურს, სოციალური მუშაკები ვანო გოგოლაშვილი და თემურ ზლულაძე შეუერთდნენ. ჩემთან ერთად იყო ბატონი გოგი ინწკირელი. თავისი სტუმრობით გაგვახარა და ყველა იუბილარს საჩუქრები გადასცა მეცნიერთა და პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე როზა გოგუაძემ.

კიდევ ერთხელ მადლობა თითოეულ მათგანს და ჩემს მეგობრებს, საქველმოქმედო ასოციაცია „გურიიდან,“ რომლებთან ერთად მე ხშირად სცენაზე და ვილამაზებთ დღეებს.

თამუნა ლურსმანაშვილი.

ზურაბ ჩეკურიშვილი: „კონკურსი გამოცხადდება და სეს-ის გურიის სამმართველოს ახალი უფროსი 2 თვეში დაინიშნება“

ნუგზარ ასათიანი

ციხისძირში ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მსოფლიოს 15 ქვეყნის მცენარეთა დაცვის წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ***ზურაბ ჩეკურიშვილი.*** *მან სეს-ის გურიის სამმართველოში საკადრო ცვლილებებზე და მიმდინარე პროცესებზე გაზეთ „ალიონის“ კითხვებს უპასუხა:*

– კარგი იყო ტელეფონით პირადად მე დამკავშირებოდით, რადგან არ მახსოვს ჟურნალისტებთან კომუნიკაციის პრობლემა მქონდეს.(ინტერვიუ 18 ივნისს შედგა).

–მაგრამ გუშინ და დღეს თქვენ ოზურგეთში ჟურნალიტებს არ შეხვედრიხართ. ამჟამად სად იმყოფებით?

– ციხისძირში ვარ და ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან კონფერენციაში ვმონაწილეობ. აქ არა მარტო მცენარეთა დაცვის რეგულიაციებზეა საუბარი, არამედ მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის საკითხებზეც. კონფერენციაში ვმონაწილეობ და ასეთ რეჟიმში მომიწია ოზურგეთში ორჯერ ჩამოსვლა. გუშინ, როცა ბატონი შალვა პეტრიაშვილი გურიის სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლად წარვუდგინე თანამშრომლებს და დღეს, როცა გურიის გუბერნატორს, ბატონ ზურაბ ნასარაიას შევხვდი.

–ესწრებოდა თუ არა გუბერნატორთან შეხვედრას შალვა პეტრიაშვილი.

–კი ესწრებოდა. როგორც თქვენ წერთ, არა მარტო ლურჯი მოცვის საკითხებზე ვისაუბრეთ, არამედ სამომავლო გეგმებზეც.

– დღესაც შეხვდით სეს-ის გურიის სამმართველოს თანამშრომლებს?

– კი შევხდი და კიდევ ერთხელ ხაზგასმით გადავუხადე მადლობა სეს-ის გურიის სამმართველოს ყოფილ უფროსს ნინი შეწირულს გაწეული მუშაობისთვის.

– თავად ნინი შეწირულს თუ შეხვდით, რაზე ისაუბრეთ და რა იყო მისი ასე მოულოდნელად სამსახურიდან წასვლის მიზეზი?

–სამსახურის ყოფილ უფროსს არ შევხვედრივარ. გასულ პარასკევს, დილით სურსათის ეროვნულ სააგენტოს ოფისში მისულს იუთუბზე ატვირთული დამხვდა ნინის განცხადება სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით. ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ნინის სხვა შესაძლებობები გამოუჩნდა და სხვა არჩევანი გააკეთა. ისე, ადგილობრივ მედიაში დაუზუსტებელი ინფორმაციები დაიდო.

– ბატონო ზურაბ, უზუსტობები კომუნიკაციის ნაკლებობას ახლავს.

– მე არასდროს ვარ ჩაკეტილი ჟურნალისტებისთვის. კარგად გამიგეთ, ციხისძირში ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრას ვესწრები და დროში შეზღუდული ვიყავი. მე მზად ვარ ჟურნალისტების კითხვებს ვუპასუხო.

– თქვენ თქვით, შალვა პეტრიაშვილი დროებით დაინიშნა სეს-ის გურიის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე...

– ამ თანამდებობაზე უფროსი კონკურსის წესით უნდა დაინიშნოს. ამისთვის გარკვეული პროცედურებია გასავლელი, კონკურსი უნდა გამოცხადდეს, კანდიდატები შეირჩეს და შემდეგ მოხდეს დანიშვნა. ამ პროცესს 2 თვე დასჭირდება.

რაც შეეხება შალვა პეტრიაშვილს, იგი დროებითაა ამ თანამდებობაზე და კონკურსის დასრულების შემდეგ სეს-ის თბილისის სამმართველოში უფროსი ინსპექტორის თანამდებობას დაუბრუნდება.

დაბა ლაითურში ლურჯი მოცვის მოსავლის აღების პროცესს გაეცნენ

შპს „ლურჯმა ველმა“ **USAID**-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში საგრანტო დაფინანსება მიიპოვა. აღნიშნულმა კომპანიამ, ასევე მიიღო მონაწილეობა სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ და ბაღის გაშენების, სარწყავი სისტემების მოწყობისთვის 75,000 ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღო. ბენეფიციარის მიერ მიღებული დაფინანსებიდან 66,096 ლარი ნერგებისთვის, ხოლო 8,904 ლარი წვეთოვანი სისტემებისთვის იყო განკუთვნილი.

კომპანიას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში, 5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, გაშენებული აქვს ლურჯი მოცვი. საგრანტო და თანადაფინანსების სახსრებით, შპს „ლურჯი ველი“, მისი მიმდინარე საქმიანობის მოდერნიზებას ლურჯი მოცვის ბაღის 2 ჰექტარზე, გვირაბის ტიპის მაღალი სათბურების მოწყობის მეშვეობით განახორციელებს, რათა თავიდან აიცილოს ამინდთან დაკავშირებული რისკები და გაზარდოს პროდუქტიულობა.

თანამედროვედ მოწყობილი კენკრის ბაღისა და კენკრის მოსავლის აღების კარგი მეთოდების დემონსტრირების მიზნით, **USAID**-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მიერ, შპს „ლურჯ ველთან" თანამშრომლობით, კენკრის საველე დღე ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ გურიის მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია, რწმუნებულის მოადგილე აკაკი შენგელია, ოზურგეთის მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის საგენტოს გურიის რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელი თეა კუპრაძე, აღნიშნული სამსახურის წარმომადგენლები, კენკრის ოცდაათამდე მწარმოებელი, საბითუმო მოვაჭრე გურიიდან, აჭარიდან, იმერეთისა და კახეთის რეგიონებიდან.

მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ლურჯი მოცვის მოსავლის აღების პროცესს ადგილზე გაცნობოდნენ და წინასწარი გაგრილების ოპერაციებს, რომელიც ხილის, კენკროვანი კულტურებისა და ბოსტნეულის მოსავლის აღების შემდომი დამუშავების პირველ ეტაპს წარმოადგენს.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამამ ხელი შეუწყო საქმიანი კავშირების დამყარებას შპს „ლერჯ ველსა“ და ისეთ კომპანიებს შორის, როგორიცაა:

• ინდ. მეწარმე „გოჩა ნოზაძე“, რომელიც ახორციელებს დღეში 500 კგ ნედლი მოცვის შესყიდვას და მიეწოდება „აგროჰაბს“ თბილისში.

• შპს. „გოლდენის ქართული ხილი“, რომელიც „ლურჯი ველის“ ნედლი მოცვის ექსპორტირებას გეგმავს.

საველე დღის მონაწილეები, ასევე დაესწრნენ შპს „ლურჯი ველის“ მიერ ამ კომპანიებისთვის პროდუქტების მომზადების პროცესს.

რა ხდება სეს-ის გურიის სამმართველოში და რატომ დატოვა თანამდებობა ნინი შეწირულმა?

შალვა პეტრიაშვილი

გავაგზავნეთ კახეთის რეგიონში –გვითხრა ჯობავამ.

ნინი შეწირულსა და გოჩა ჯობავას შორის უთანხმოებაზე თერმული ნისლით შესაწამლი ერთ-ერთი ავტომანქანის მძღოლი გაგვენდო.

– სეს-ის გურიის სამმართველოში მიმდინარე პროცესები რამდენიმე დღის წინ, ფაროსანასთან ბრძოლის შტაბში მომხდარ ინციდენტს უკავშირდება. სეს-ის გურიის სამმართველოს ყოფილ უფროს ნინი შეწირულსა და ფაროსანასთან ბრძოლის აჭარა-გურიის შტაბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება იყო, რამაც ქალბატონ ნინის პროტესტი და თანამდებობიდან წასვლა გამოიწვია. ისე ჯობავას კონფლიქტი სხვებთანაც ჰქონდა. – გვითხრა მან.

ჩვენ სამსახურიდან გათავისუფლებული მძღოლების ჯგუფების უფროსებსაც დავუკავშირდით, თუმცა ა.ს-მ კომენტარისაგან თავი შეიკავა, ხოლო გ. მ-ძემ ჩვენს ზარებს არ უპასუხა.

რაც შეეხება თავად გოჩა ჯობავას, მან ამ თემაზე კომენტარისაგან თავი შეიკავა.

–ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲛᲔ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲘᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ. ᲛᲔ ᲕᲘᲪᲐᲕ ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐᲡ –ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲞᲠᲔᲡᲪᲔᲜᲢᲠᲡ –გვითხრა მან...

დავინტერესდით ნინი შეწირულის კვალიფიკაციით: იგი სურსათის ექსპერტია –საქონელმცოდნე.. აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია მეცხოველეობაში. დამთავრებული აქვს მაგისტრატურა და დოქტორანტურა კვების უსაფრთხოებაზე.

–ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲓᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ. ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲖᲔ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲓᲐᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ – გვითხრა სურსათის უვნებლობის სააგენტოს უფროსის მოადგილე **გიორგი იაკობაშვილმა.**

ფოტოკონკურსის „აღმოაჩინე გურია“ მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

18 ივნისს, ოზურგეთში, წამახალისებელი ფოტოკონკურსის „აღმოაჩინე გურია“ მონაწილე საჯარო სკოლების მოსწავლეები დაჯილდოვდნენ.

წარმატებული მოსწავლეები დღეს გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ და ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ დაჯილდოვეს. კონკურსის გამარჯვებულს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე ქეთა მენაღარიშვილს, ორგანიზატორებისგან სიმბოლური პრიზი გადაეცა.

კონკურსის მიზანი გურიის ტურისტული ადგილების, ისტორიულ-კულტურული ძეგლებისა და სხვა ღირშესანიშნაობების პოპულარიზაცია გახლდათ. კონკურსში გამარჯვებისთვის საჭირო იყო მონაწილეებს გადაეღოთ შესაბამისი თემატიკის ფოტო, გამოექვეყნებინათ სოციალურ ქსელში, გაეკრცელებინათ და დაეგროვებინათ რაც შეიძლება მეტი მოწონება. ატვირთული ფოტო უნდა ყოფილიყო საჯარო და იდენტიფიცირებისთვის გამოეყენებინათ შემდეგი სამი მონიშვნა: ესგურიაა, ფოტოს ადგილმდებარეობა და სკოლის დასახელება.

კონკურსანტებმა ფოტო ნამუშევრები სოციალურ ქსელ **facebook**-ზე განათავსეს, სადაც მოხდა გამარჯვებულების გამოვლენა, როგორც დაგროვებული მოწონებების რაოდენობის, ასევე, ორგანიზატორების მიერ.

ღონისძიების მხარდამჭერია გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია, ასევე ა(ა).ი.პ. კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ქადეიშვილების „სამეფო ტორტი“

კატუსა

ქადეიშვილების ტორტის შესახებ პირველად გავიგე ბატონა თენგიზ კუნჭულიას წიგნიდან „ ქალაქი და ტრადიციები“. „...ალეგრო მოდების თავისებური დემონსტრაცია იყო, დღესასწაულის მონაწილე ყველაზე ლამაზ ქალიშვილს პრიზად გადასცემდნენ ქადეიშვილების ოჯახში სპეციალურად გამომცხვარ „სამეფო ტორტს“, შემდეგ კი ოზურგეთის ყველაზე კომფორტული და პრესტიჟული ტრანსპორტით- სიმონ გორგოშიძის თეთრი ვარდებით მორთული ფაეტონით მთელს ქალაქს შემოატარებდნენ“. ამ ტორტის ოსტატები მარუსია (მარიამ) და ეკატერინე ქადეიშვილები ოზურგეთსა და თბილისში ცნობილი მეტორტეები იყვნენ და მათ ნახელავს „ქადეიშვილების ტორტის“ სახელით იცნობდნენ.

როგორც ამ წერილის ავტორს, ძალიან მინდოდა მათი შთამომავლებიდან მომესმინა ისტორიები ამ ტორტის შესახებ. ჩემი მუზეუმელი მეგობრის ირინა კალანდაძის დახმარებით, ქადეიშვლების ოჯახს ვესტუმრეთ. გავეცანით ოჯახის თავკაცს, ბატონ ქუცას და მის მეუღლეს, ქალბატონ დინას, რომლებმაც დიდი სიყვარულით გვიამბეს გამზრდელი დეიდისა და დედის ისტორიები.

ქუცა და დალი

მარუსია (მარიამი) ცნობილი ფეხბურთელის ქუცა(იოსებ) ქადეიშვილის გამზრდელი დეიდა იყო, ეკატერინე (კატუშა) - ღვიძლი დედა.

მარუსია დაიბადა 1887 წელს, დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, ერთხანს ნოე ჟორდანიას მდივანი იყო, ხოლო, როცა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, მარუსია ოზურგეთში დაბრუნდა.

ეკატერინე (კატუშა) დაიბადა 1904 წელს, დაამთავრა ბათუმის ეკონომიკური ტექნიკუმი. მარუსიას და კატუშას 8 ძმა ჰყავდათ. მათი მამა ნიკოლოზ ქადეიშვილი პირველი ხარისხის გილდიის ვაჭარი იყო, ცნობილი ოსმალეთსა და საქართველოში. ოსმალეთში იგი „ ნიკო აღას“ სახელით იყო ცნობილი. კარგად იცოდა ოსმალური.

ოზურგეთში ნიკოლოზ ქადეიშვილი გამორჩეული იყო, როგორც პირველი ღირსეული ადამიანი. იგი ფლობდა 333 ჰექტარ მიწას, აქ შედიოდა ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის და დღევანდელი სტადიონის ტერიტორიები). სტამბოლიდან ჩამოჰყავდა 1500-2000 სული საქონელი და ამ ტერიტორიაზე აყენებდა. დღეში 40-50 სული საქონელი იკვლებოდა. ამარაგებდნენ ლანჩხუთს, ქობულეთს, ოზურგეთსა და ფოთს. ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაზე სათოვლე ჰქონიათ და იქ თოვლში კიდებდნენ და ასე ინახავდნენ ხორცს.

ნიკო ქადეიშვილის წაბლის სახლი, რომელშიც ახლა ბატონი ქუცა ცხოვრობს, 200 წლისაა. ოჯახი საკმაოდ იყო ძვირფასი ჭურჭლეულით და ვენეციური და ფრანგული სერვიზებით, ბევრი მათგანი, რაც დროს გადაურჩა, დღესაც ამშვენებს მათ ოჯახს. აქ უამრავი სტუმარი და მეგობარი იკრიბებოდა.

1918 წლის აპრილის ერთ ავბედით დღეს, როცა ოსმალები შემოიჭრნენ ოზურგეთში და ყველა მესამე სახლი გადაწვეს და ააოხრეს, ნიკო ქადეიშვილის ოჯახი ელოდა საპატიო სტუმარს ოზურგეთელ გერმანე (კოჭო) გოგიტიძეს (შემდეგში ქართული კინოს ერთ-ერთ პირველ გამოჩენილ მოღვაწეს) და საკადრისი სუფრაც ეზოში, დიდი მუხის ქვეშ იყო გაშლილი. როცა ოჯახის უფროსმა გაიგო ოსმალების შემოჭრის ამბავი, სახელდახელოდ სამი ურემი დატვირთა, ქალიშვილებს კი უთხრა, გვარდებში (ყველის გადასაზიდი) ჩააწყვეთ ძვირფასი ჭურჭელი და ზედ ვარდები დააყარეთო.ქალიშვილებმა თურმე ბალიშები ჩააწყვეს. როცა დაბრუნდნენ, მთელი სახლი ბუმბულებით ყოფილა დაფარული. თათრებს კი დიდ ვაზაში წერილი დაეტოვებიათ: „სად წახვედით ისეთ ადგილას, ასეთი სუფრა რომ დატოვეთო“.

უკან მობრუნებულებს ყველაფერი განადგურებული დახვედრიათ. ნიკოს ხარ-კამეჩი გაუყიდია და ძვირფასი სერვიზები შეუძენია.

ქადეიშვილების ოჯახში ცხოვრება ისევ ძველებურად მიდიოდა, ქალიშვილებისთვის ყოველ პარასკევს ახალი კაბები იკერებოდა, ეს იყო „ლეკური“ და სხვა, რათა შაბათ-კვირა საღამოებისათვის ახალი სამოსი ჰქონოდათ.

ნიკოლოზ ქადეიშვილსა და მის მეუღლე ირინე ასათიანს რვა ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდათ. ნიკომ თურმე ოთხი ობოლი ძმისშვილი კიდევ მოიყვანა სახლში აღსაზრდელად. ყოველდღე სუფრასთან ოცდაორი კაცი ჯდებოდა სადილად. სუფრას რომ გარეცხავდნენ, სპეციალურ დაზგაზე გადაჭიმავდნენ და მას შემდეგ გაუთოება აღარ სჭირდებოდა. ოჯახში იყო და ახლაც არის ძველებური, სპეციალური პატარა მაგიდა ავადმყოფთა დასანაყრებლად.

ცნობილია, ნიკო რომ საკლავს დაკლავდა, გულ-ღვიძლს გაჭირვებულებს ურიგებდა.

ქალბატონმა დინამ ჩემთან საუბარში აღნიშნა: „როცა ანასეულში ვმუშაობდი, ერთმა (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) მითხრა, თქვენი ოჯახის გულ-ღვიძლით ვარ გაზრდილიო.

ნიკოს და ირინეს ვაჟები ოზურგეთში გაძიძავებული ჰყავდა. ერთი შვილი აბაშიძის ქუჩაზე ცხოვრობდა და ყოველ შაბათს დედა მიდიოდა ვაჟების მოსანახულებლად ისეთი ჩაცმული, ხალხი გამოდიოდა თურმე მის სანახავად, მარგალიტებით მორთული თავხურით, არნახული სანახავი იყოო, ამბობდნენ.

„ჩვენს ოჯახს ბევრი გამოჩენილი ადამიანი სტუმრობდა და მეგობრობდა: ცეცილია წუწუნავა, ალექსანდრე წუწუნავა, სიკო (სიკოკია) დოლიძე (გვერდითი მეზობელი იყო), თამარ ციციშცილი, ნატო ვაჩნაძე, ჩიტოლია ჩხეიძე, უკრავდა გიტარაზე, ელენე ახვლედიანი ხატავდა. ელენე ახვლედიანი დეიდამ გაიცნო სიკო დოლიძის ოჯახში და ჩვენთან ისე დამეგობრდა, რომ ჩამოდიოდა, ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა“ - ბატონმა ქუცამ იმ ოთახისაკენ მიმითითა, სადაც ელენე ახვლედიანი ღამეს ათევდა, მეორე საძინებელიც მაჩვენა, ეს თამარ ციციშვილისა და ნატო ვაჩნაძის საძინებელი იყოო, - ჩვენს ოჯახში გაიცნო ელენე ახვლედიანი ჩვენმა ახლო მეზობელმა ნინა ვასაძემ და ისე დამეგობრდნენ, შემდეგ მისი ერთ – ერთი ვაჟი ვასიკო ვასაძე წლების მანძილზე სწავლობდა თბილისში და ცხოვბრობდა ელენე ახვლედიანის ოჯახში“.

ბატონი ქუცა ყვება: „დედა რომ დააპატიმრეს, 8 თვის ვიყავი და რომ დაბრუნდა - 10 წლისა. მამაჩემი კახელი კაცი იყო თელავიდან, ვარდისუბნიდან, გვარად ქურციკაშვილი, იგი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, ბოლოს დანიშნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად. 1932 წელს დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით. 1936 წელს დააპატიმრეს უდანაშაულო კაცი, ტერორისტად შერაცხეს და დახვრიტეს. დედა მამაჩემის მოადგილედ მიიჩნიეს და გადაასახლეს კომის ასსრ-ში, სადაც 9 წელი დაჰყო. მე წამომიყვანეს დეიდასთან და გვარიც გამომიცვალეს, დედის, ქადეიშვილის გვარზე დამწერეს. სანამ სკოლაში შემიყვანდა, დეიდაჩემმა მიმბარა ჩუნია დოლიძესთან (ერქომაიშვილის მეუღლე იყო) და მან მასწავლა წერა-კითხვა. დავამთავრე მეორე საშუალო სკოლა. როგორც რეპრესირებული ოჯახის წევრს, ყველა პატივს მცემდა. ჩემი მეგობრები იყვნენ: თენგიზი, ვასიკო, თემური ვასაძეები, ბაჩო, რენო ურუშაძეები. როცა პატარები ვიყავით, დეიდაჩემი ტორტს რომ გამოაცხობდა, დარჩენილ კრემს გაგვინაწილებდა, ჩვენც სიამოვნებით მივირთმევდით, სტუდენტობისას კი, ერთხელ ჩვენს სახლში, თბილისში, სადილად ვზივართ: ბაჩო ურუშაძე, იურა ურუშაძე, ხიტი კანდელაკი, ომარ პაიჭაძე, თურმე იმ დღეს სამსართულიანი ტორტის შეკვეთა ჰქონდა შოთა ჭანუყვაძეს (მაშინდელი ცკ-ს მდივანი). „ბიჭებმა“ ეს ტორტი მივირთვით. დედამ კი მთელი ღამე გაათენა და მეორე დღეს ჩვეულებრივ გაატანეს შეკვეთილი.

დედას ეკატერინა ნიკოლაევნას ვეძახდი და ეს წყინდა (ბატონ ქუცას თვალები ცრემლით აევსო), გადასახლებაში ბევრი გაჭირვება გადაიტანა, მასთან ერთად ბევრი ცნობილი ქართველი ქალი იყო: ლანა ღოღობერიძის დედა, ქეთუსია ორახელაშვილი, რომელმაც ტორტის რეცეპტი ჩააწერინა თურმე“.

„ხელსაქმე კარგად იცოდა ჩემმა დედამთილმა“, - მეუბნება ქალბატონი დინა, ერთხელ პატიმრებს დავალება მისცეს, უნდა მოექარგათ „უკრაინკები“, ვინც მეტს მოქარგავდა, იმას გაათავისუფლებენო, თუ რაღაც ამგვარი. კატუშას ერთ დღეში 20 უკრაინკა მოუქარგია, მაგრამ მეორე დღეს დაუნახავს, რომ ნაქარგი მის უფროსს ეცვა. როგორც კარგი დიასახლისი, სამზარეულოში გაამწესეს თურმე, ის ახერხებდა ცოტა ულუფა ქალებისთვის– თავისი მეგობრებისთვის გადაენახა. ასე რომ, გადასახლებაში ბევრი ქალი შიმშილს გადაარჩინა. 9 წლის შემდეგ,გადასახლებიდან რომ დაბრუნდა, თავისი ეშხი და სილამაზე მაინც არ დაუკარგავს, გამოირჩეოდა ჩაცმულობის სტილით, როცა გადასახლებიდან დაბრუნებულა, სიკოკია (სიკო) დოლიძეს სუთქვამს, შეხედეთ ერთი, როგორ აქვს შენარჩუნებული ძველებური სტილი და გარეგნობაო“.

ისევ ბავშვობის წლებს მივუბრუნდეთ:

„ჩემი გამზრდელი ისეთ „ნაპოლეონს“ აცხობდა, – ამბობს ბატონი ქუცა, – პირში დნებოდა. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ვეხმარებოდი გოგლი-მოგლის ათქვეფაში, შემეძლო ქაღალდის ჩაფენა ფორმებში და ასე შემდეგ, ტორტი ცხვებოდა 1,5 - 2 საათის განმავლობაში სპეციალურ „ბურჟუიკაში“. ტორტებს უკვეთავდნენ ქორწილებითვის, დაბადების დღეებისთვის, ვერ აუდიოდა შეკვეთებს“.

ამას ისეთი სიყვარულით იხსენებდა ბატონი ქუცა, ვუთხარი უხერხული ხომ არ იქნება, რომ ეს დავწერო-მეთქი. გამიღიმა და მითხრა, არაო.

ეს მისი ბავშვობა იყო. შემდგომში „მერცხალის“ სახელდებული ფეხბურთელი, ტოლ-მეგობრებში გამორჩეული ვაჟკაცი, დღეს კი ჭარმაგი და დარბაისელი კაცი თავის მეუღლესთან, სიმპათიურ ქალბატონ დინასთან ერთად, ცხოვრობს ძირძველ, ტრადიციულ

მარუსა

სახლში, როგორც ღირსეული ოზურგეთელი. ბატონ ქუცასა და ქალბატონ დინას ჰყავთ სამი ვაჟი, დაოჯახებულები და ოთხი შვილიშვილი.

ქალბატონი დინა იგონებს : „ამ ოჯახში ვცხოვრობ 1980 წლიდან. მოვესწარი ჩემი მეუღლის გამზრდელ დეიდას და დედას, ქალბატონებს მარუსიას და კატუშას. მათგან ბევრი რამ ვისწავლე და ვცდილობ, ტრადიცია განვაგრძო“.

ოჯახში გურული სუფრის კულტურა და სურნელი სუფევს. ქალბატონი დინა გაგვიმასპინძლდა ქალბატონების მარუსიას და კატუშას რეცეპტებით მომზადებული უგემრიელესი საზამთროსა და ბლის მურაბით. ოჯახში ინახება ამ ქალბატონების რეცეპტები, გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

ტორტი

მასალად საჭიროა: კვერცხი - 6 ცალი, შაქრის ფხვნილი - 1 თხელი ჭიქა, პურის ფქვილი - 1 ჭიქა, ვანილი - 1 ც.

ამოვიყვანოთ კვერცხის ცილა მიქსერით, კარგად რომ აითქვიფება, ჩავაყაროთ, „პესოკი“ და კიდევ ვთქვიფოთ, ბოლოს კვერცხის გული, ფქვილი და ვანილი ვუყოთ, კიდევ ავთქვიფოთ ხუთი წუთი, შემდეგ ჩავასხათ წინასწარ გამზადებულ ცხიმგამოსმულ ყალიბში და შევდგათ გამოსაცხობად. 1 საათის განმავლობაში არ უნდა შევიჭრიტოთ, დაბალ ტემპერატურაზე უნდა ცხვებოდეს, ერთი საათის შემდეგ 30 წუთი ცოტა მოვუმატოთ „პარს“ და გამომცხვარი იქნება.

კრემისთვის საჭიროა:1 ცალი კვერცხი, 1 ჭიქა „პესოკი“, 1 ჭიქა პურის ფქვილი, 200 გრამი კარაქი, ნახევარი ლიტრი რძე, ვანილი. დასანამად - სიროფი, კონიაკთანან ან რომთან ერთად.

პასქა

საჭიროა: 1 ლიტრი რძე, 500 გრამი მარგარინი, 1 ცალი საფუარი ,1კგ შაქარი, 1,5 კგ პურის ფქვილი, „მუსკატნი“ 1 ც, „ილი“ 1 შეკვრა, ვანილი 2 ცალი, მარილი თვალზომით. ქიშმიში 300 გრამი, „შაფრანი“.

მომზადება: ავიღოთ ერთი ლიტრი რძე (გავაკეთოთ „აპარა“) თბილს ჩავაყაროთ ნახევარი შეკვრა საფუარი, დავუმატოთ 12 „სტოლის“ კოვზი პურის ფქვილი, მარილი, შევახვიოთ თბილად და დაველოდოთ 2 საათი, სანამ არ ამოვა. როცა ამოვა, ვუყოთ გოგლი-მოგლი, დავუმატოთ ნახევარი მარ-

გვ-7

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

ქადეიშვილების „სამეფო ტორტი“



გარინი, პურის ფქვილის ნახევარზე მეტი კარგად ავურიოთ და თბილად შევახვიოთ და დავდგათ. შემდეგ ცალკე დავფქვათ „ილი“, „მუსკატნი“, „შაფრანი“, ვანილი. როცა შევატყობთ, ცომი წამოსულია, გავხსნათ და ჩავყაროთ ნელსაცხებლები, დავზილოთ მანამ, სანამ ოფლი არ გამოგვივა, ხელი უნდა დავისველოთ ფქვილში და თბილ მარგარინში. შემდეგ შევფუთოთ და დავდგათ. ერთხელ კიდევ გადავზილოთ ისე, რომ დარჩენილი ცომი და მარგანინი დავხარჯოთ. როცა ამოვა, გადმოვიღოთ მაგიდაზე, მოვაყაროთ გასუფთავებული ქიშმიში, ავზილოთ კარგად და გადავიტანოთ ყალიბებში. როცა ამოვა ნახევრამდე, უნდა გამოვაცხოთ. თავზე მოვუსვათ კვერცხის გული, შაქარი და ცოტა წყალი სიპრიალისთვის.

საზამთროს მურაბა

შემოდგომის ბოლოს სქელკანიან საზამთროს დავთლით ფორმებად და ჩავყრით კირში. ერთი საათის შემდეგკარგად გავრეცხავთ სათითაოდ ცივ წყალში. უნდა წამოვადუღოთ, ორჯერ, სამჯერ გამოვუცვალოთ წყალი, შემდეგ ავწონით და ყოველ კილო საზამთროზე 30 გრამ შაბს დავუმატებთ. უნდა ვადუღოთ ერთი საათი, შემდეგ გავრეცხოთ ცივ წყალში და ვადუღოთ ნახევარი საათი. გამოვუცვალოთ წყალი სამჯერ, კიდევ ვადუღოთ ნახევარი საათი ნახევარკილოგრამ შაქართან ერთად და უნდა გადავღვაროთ, უნდა გავსინჯოთ, რომ არ ჰქონდეს შაბის გემო .ამის შემდეგ ჩავყრით შაქარს და რომ გადნება, ჩავყრით საზამთროსაც, ვადუღოთ მომზადებამდე.

იყო მეორე ვარიანტი საზამთროს მურაბის მოდუღებისა: დაჭრილ საზამთროს ჯერ კირში გამოიყვანდნენ, გარეცხავდნენ და წამოადუღებდნენ, გადაღვრიდნენ, მერე შაბში წამოადუღებდნენ, გადაღვრიდნენ და თაფლში წამოადუღებდნენ და მერე ჩვეულებრივ შაქარში ადუღებდნენ.

თეთრი ბლის მურაბა

1 კგ ბალი დავკურკოთ და ჩავყაროთ წინასწარ გაკეთებულ სიროფში, გავაჩეროთ ერთი ღამე, მეორე დღეს ნელ „პარზე“ ვადუღოთ და დავუმატოთ ერთი პატარა დაჭრილი ლიმონი, როცა მოდუღდება, ვუყოთ 1 ცალი ვანილი.

სიროპი: 1 კგ „პესოკი“, 2 ჭიქა წყალი, ვადუღოთ.

რეცეპტების სტილი დაცულია.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

სამგლოვიარო განცხადებები



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებათა გაერთიანება იუწყება თანამშრომლის, **ამირან თავართქილაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახსა და ახლობლებს.

გამოსვენება შედგა ხუთშაბათს, 20 ივნისს 16 სთ.

ქ. ოზურგეთი, ჩოხატაურის ქ. 6

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ თანამშრომელ ნანული კვაჭანტირაძეს, მაზლის **მურმან სიხარულიძის** გარდაცვალების გამო.

განცხადება

იყიდება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე! თავისი ავტოფარეხით, ავეჯით, ტექნიკით! მსურველებმა დამიკავშირდით 591155757

სკანვორდი





№ 24-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე: აშშ-ს მესამე პრეზიდენტი – მედისონი; ტექნოლოგიების ცნობილი ფირმა – სონი; ნიუტონის სახელი – ისააკი; შრიფტის სახეობა – ბასკერვილი; სუეცის არხის ამგები –ლესეპსი; მსუბუქი ქარი – სიო; ქალაქი რაჭაში – ონი; სამიანი ნარდში – სე; ბეჭდვითი მედია – პრესა; პოეტური განმეორება – ანაკრუზა; გამოსახულებიანი გამოცანა – რებუსი; დაბა აფხაზეთში – ავადხარა; მამაკაცის სახელი – როინი; კეთილის ანტიპოდი – ბოროტი; გიგანტური გველი – ანაკონდა; სოფელი სვანეთში – უშგული; ფურცლის ორივე მხარე – გვერდი; შენ მეგრულად – სი; სომხური საფეხბურთო კლუბი – არარატი; პატარა კახი – ერეკლე; თურქული მარგარინი – ონა; სახელმწიფო ევროპაში – ჩეხეთი; უმაღლესი მწვერვალი ახალ გვინეაში – ავჯაია; წყალქვეშა კლდე – რიფი; ჭაობის მცენარე – ისლი; ჰესი მტკვარი – ზაჰესი; ზღვის პეიზაჟი – მარინა; გრამატიკული კავშირი – და; ბოლო ასობვერა – ჰ; ძველი ქუთაისი – აია; პოლიციის შეფი – შერიფი; პატარა ტოტი – რტო; პოლონური ფული – ზლოტი; სამწყსო – მრევლი; ულამაზესი – მზეთუნახავი; ქიმიური ელემენტი – კალა.

გამოფენა „დინასტია“ ოზურგეთში დღესაც გრძელდება

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნებისა და სურათების ცენტრში – გალერეაში ცნობილი ფერმწერის **ბეჟან შველიძისა** და მისი ოჯახის წევრების, ასევე ცნობილი მხატვრების 26 მაისს გახსნილ გამოფენას, სახელწოდებით „დინასტია“, დღესაც უამრავი დამთვალიერებელი ჰყავს.

მხცოვანი მხატვარი ბეჟან შველიძე, გარდა იმისა, რომ რეზონანსული და საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედია, სახვითი ხელოვნების ოსტატთა მრავალი თაობის სახელოვანი აღმზრდელიცაა.

„დინასტიის“ შემქმნელ ხუთეულს ასევე წარმოადგენენ ბატონი ბეჟანის შვილები **მურთაზი** და **ლია,** ლიას მეუღლე **მამუკა ცეცხლაძე** და ამ წყვილის შვილი **ლუკა ცეცხლაძე.**

ეს ის ადამიანებია, რომლებმაც თავიანთი ავტორიტეტული სიტყვები თქვეს თანამედროვე სახვითი ხელოვნების ისტორიაში, რომლებიც დღითიდღე პოპულარულებო ხდებიან, რასაც მოწმობს თუნდაც ოზურგეთში მოწყობილი გამოფენის ხანგრძლივი ქრონომეტრაჟი და ამ გამოფენისადმი გამოჩენილი დიდი ინტერესი.

შემოქმედებითმა ხუთეულმა ოზურგეთში 32 ნამუშევარი გამოფინა, რომელთა უმეტესობა ფერწერული ტილოებია, პორტრეტები. კომპოზიციები. ყურადღებას იქცევს სერიები – მამუკა ცეცხლაძის „ქალაქები“ და ლია შველიძის „ქორწილი“, რომლებშიც ქართული სახეები და ქართველებისთვის დამახასიათებელი დინამიკური შტრიხები იკთხება.

როგორც ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** გვითხრა, „დინასტია“ ოზურგეთში პირველად გამოიფინა და იმითაც არის საინტერესო, რომ ოზურგეთის გალერეის ფონდს **ლია** და **ბეჟან შველიძეებმა**, ასევე **მამუკა ცეცხლაძემ** საჩუქრად გადმოსცეს თავიანთი თითო ნამუშევარი.

მღერიან და ცეკვავენ „ლიხაურელი ჩიტები“

ალიონი ოზურგეთელი საზოგადოება ლიხაურის საბავშვო ბაღისაგან ყოველთვის სასიამოვნო, ზოგჯერ სულაც სასწაულმოქმედ ღონისძიებებს მოელის 14 ივნისს ამ ბაღის აღსაზრდელებმა და აღმზდელებმა, რა თქმა უნდა, მშობელთა ჩართულობით, ტრადიციას არ უღალატეს და ისეთი საგამოშვებო დილა მოაწყვეს, ავ თვალს რომ არ ეჩვენებოდა. სათაურიც მორგებული შეურჩიეს კომპოზიციურად საინტერესო ღონისძიებას: „ჩიტები მღერიან, მღერიან“.

სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებმა მართლაც ჩიტებივით იჟღურტულეს, იჭიკჭიკეს, ინავარდეს, იმღერეს და იცეკვეს, რითაც დარბაზში ღონისძიების მონაწილე დადამსწრე საზოგადოებისათვის იდილიური განწყობილება შექმნეს.

სტუმრებმა - სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა **მაკა ჭყონიამ,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსმა, ბატონმა **თემურ მოქიამ**, ცენტრის მეთოდისტმა, ქალბატონმა **ეთერ ჩხაიძემ** და სხვებმა სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცეს და წარმატებები უსურვეს ლიხაურელ პატარებს,.მადლობა გადაუხადეს ბაღის თანამშრომლებს და მშობლებს.

ბაღის მენეჯერია **ნათია გობრონიძე,** ჯგუფის აღმზრდელები: **თინა გაფრინდაშვილი, მაია ვაშაყმაძე, თანაშემწე - ინდირა ვასაძე.**

ტაეკვანდოს ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა

ალიონი 16 ივნისს, ქ. ფოთში, საქართველოს ღია ჩემპიონატზე ერთმანეთს საქართველოს ტაეკვონდოს ეროვნული ფედერაციის (ჭთ ოლიმპიური სტილი), ხელძღვანელები და მწვრთნელები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რის შედეგად სამი მწვრთნელი დააკავეს.

თუ რა იყო ქ. ფოთში მომხდარი დაპირისპირების მიზეზი, ამის შესახებ გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი გააკეთა ტაეკვანდოს მწვრთნელმა, შავი ქამარის, სამი დანის მფლობელსმა **ირაკლი ტუღუშმა:**

–ინციდენტის მიზეზი, საქართველოს ტაეკვონდოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, სულხან ბუაძის მუშაობით უკმაყოფილებაა. სამ თვეზე მეტია თბილისისა და რეგიონების მწვრთნელების 95 პროცენტი ითხოვს ბაბუაძის გადაყენებას. 18 რეგიონის მწვრთნელი ამბობს, რომ ტაეკვონდოს ეროვნული ფედერაცია არ ეხმარება მათ არც ფინანსურად და არც ინვენტარით. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე თავიანთი კანდიდატურები მიჰყავთ, გამგეობის წევრებად კი მის მიერ შერჩეული მორჩილი წევრები ჰყავს. 2016 წელს შემდეგ ყრილობა არ ჩატარებულა, მწვრთნელები ყრილობის ჩატარებას ითხოვენ. ამიტომ ჩავიდნენ ისინი ფოთში, სადაც საქართველოს ღია ჩემპიონატზე 3 თუ 4 გუნდი მონაწილეობდა ქ. ფოთიდან, ხონიდან და წალენჯიხიდან, სულ 60-მდე სპორტსმენი იყო, როცა ადრე 300-350 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. მე გარკვეული მიზეზების გამო ინციდენტის დროს ქ. ფოთში არ ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ ინციდენტი ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ბადრი აბულაძის პროვოცირებით მოხდა, რის შედეგად 3 მწვრთნელი გისოსებს მიღმა მოხვდნენ –გვითხრა ირაკლი ტუღუშმა.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებიან, ქ. ფოთში ინციდენტი დარბაზში დაიწყო და შემდეგ დარბაზის გარეთაც გაგრძელდა. სამართალდამცავებმა ინციდენტის მონაწილე სამი მწვრთნელი დააკავეს.

შსს ინფორმაციით, თეიმურაზ კვირაიას, იოსებ ოსიძეს და მამუკა გეგეშიძეს ბრალი სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით წარედგინათ, რაც ჯგუფურად ძალადობას გულისხმობს და ითვალისწინებს 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ადვოკატების ინფორმაციით, აღნიშნული მუხლი ასევე ითვალისწინებს ჯარიმას და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას.

ფოთის საქალაქო სასამართლომ ტაეკვონდოს მწვრთნელებს თეიმურაზ კვირაიას, იოსებ ოსიძეს და მამუკა გეგეშიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით 4-4-ათასლარიანი გირაო შეუფარდა.

„მიმაჩნია, რომ უფრო სამართლიანი იქნება გირაოს შეფარდება. მათ ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები, არიან სპორტსმენები, ადრე არ არიან ნასამართლევი. კარგად უნდა გაირკვეს, ვინ რა ჩაიდინა. ამ ეტაპზე არ იძლევა საშუალებას კანონი, რომ თქვენ დაუყონებლივ გათავისუფლდეთ დარბაზიდან. კიდევ უნდა გაირკვეს და დადგინდეს, ვინ რა ჩაიდინა. ჯერ ამის განჭვრეტა შეუძლებელია", – განაცხადა მოსამართლე თემურ სიხარულიძემ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

24 ივნისი	25 ივნისი	26 ივნისი	27 ივნისი	28 ივნისი	29 ივნისი	30 ივნისი
წვიმა +18+25	მზე, ღრუბელი +19+25	ღრუბელი +17+24	მზე, ღრუბელი +14+23	მზე, ღრუბელი +14+19	მცირე წვიმა +14+18	მზე, ღრუბელი +15+21
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა